ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მომხმარებელთა უფლებები დისტანციური ხელშეკრულების ფარგლებში, ქართული და ევროკავშირის ქვეყნების სამართლის შედარებითი ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ნაშრომის ხელმძღვანელი ზურაბ გველესიანი

კერძო ბიზნეს სამართლის სკოლა

მარიამ რამიშვილი

თბილისი 2023

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ რამიშვილი 16.06.2023

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომში წარმოდგენილია მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ანალიზი, დისტანციურად დადებული ხელშეკრულების მთავარ პრინციპი, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები და მათი დარღვევის შემთხვევაში აღსრულების მექანიზმები.

ნაშრომში ასევე მიმოხილულია ევროკავშირის და ქართული სამართლის ისტორია, თუ როგორ განვითარდა მომხმარებელთა უფლებები ჯერ კიდევ წინა საუკუნიდან დღემდე. განხილულია ევროკავშირის დირექტივები, რომელიც არეგულირებს, მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დისტანციურად დადებული ხელშეკრულების სამართლებრივ შედეგებს. ზემოთახნიშნული საშუალებას მისცემს მკითხველს მომხმარებელთა სამართლის მიზნები უკეთ აღიქვას, ასევე მისცემს საშუალებას შეადაროს, როგორ განსხვავებულად ჩამოყალიბდა ეს დარგი ევროპასა და საქართველოში.

ნაშრომი ეყრდნობა როგორც ქართველი, ასევე ევროპელი ავტორების კვლევებს. ასევე, აკადემიური წყაროების გარდა გამოყენებულია სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები. ნაშრომის ფარგლებში ასევე ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, სადაც ონლაინ ანკეტირების გზით, გამოიკითხა 120 ადამიანი, კვლევის მიზანს წარმოადგენდა მომხმარებელთა ინფორმაციულობის დონის გაზომვა, მომხმარებელთა უფლებების და მათი დაცვის გზების შესახებ .

საკვანძო სიტყვები: მომხმარებელთა უფლებები, მოვაჭრე, დისტანციურად დადებული ხელშეკრულება, ევროკავშირის დირექტივა, კონკურენციის ეროვნული სააგენტო.

Abstract

The goal of the presented work is to provide information to a reader about the norms governing the legal relationship between a consumer and a trader, the main principle of a remote contract, the consequences of refusing the contract, and the enforcement mechanisms in case of violation.

The paper also reviews the history of the EU and Georgian laws, how consumer rights have developed from the last century to the present day. This work will analyset he directives of the EU regarding the consumer rights, which regulates the legal consequences of the contracts concluded at a distance between the consumer and the trader and make a comparative analysis between the Georgian and EU countries law, in regards of the distance contracts.

This work is based on the research of both Georgian and European authors. Also, various Internet resources are used in addition to academic sources. Within the framework of the paper, a quantitative research was conducted, where 120 people were interviewed through an online questionnaire. The purpose of the research was to measure the level of consumer awareness, about consumer rights and ways to protect them.

Keywords: consumer rights, trader, distance contract, EU directive, National Competition Agency.